სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

17 ნოემბერი 2023

N 21/9956

შპს „რუსთავის ქიმიურ საწარმო სოდაკოს“ დირექტორს
ბატონ მიხეილ ბუსხრიკიძეს
ელ. ფოსტა: m.buskhrikidze@gmail.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

ბატონო მიხეილ,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №10971 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში ქიმიური ნივთიერების საწარმოსა და ქიმიური პროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის 4[1] ნაწილის თანახმად, სააგენტოსთვის წარდგენილ სკრინინგის განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ინფორმაციას, უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო